

# ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2019 წლის 19 ივლისი

ქ. ცაგერი

**„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.116.016445) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გუგავა

დანართი №1

**თავი I**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 ფაქტი	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	2019 წლის გეგმა	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
<b>I. შემოსავლები</b>	<b>8185.25</b>	<b>9936.40</b>	<b>4246.75</b>	<b>5689.65</b>	<b>13060.38</b>	<b>6601.88</b>	<b>6458.50</b>
გადასახადები	515.46	594.02	0.00	594.02	6190.50	0.00	6190.50
გრანტები	7361.36	9144.21	4246.75	4897.47	6759.88	6601.88	158.00
სხვა შემოსავლები	308.42	198.16	0.00	198.16	110.00	0.00	110.00
<b>II. ხარჯები</b>	<b>4876.35</b>	<b>5195.63</b>	<b>0.00</b>	<b>5195.63</b>	<b>6485.53</b>	<b>685.63</b>	<b>5799.90</b>
შრომის ანაზღაურება	1418.95	1375.68	0.00	1375.68	1545.00	0.00	1545.00
საქონელი და მომსახურება	713.17	671.58	0.00	671.58	1492.49	673.27	819.22
პროცენტი	0.00	52.45	0.00	52.45	60.00	0.00	60.00



სუბსიდიები	2323.75	2625.93	0.00	2625.93	2857.53	0.00	2857.53
სოციალური უზრუნველყოფა	281.23	353.97	0.00	353.97	335.65	0.00	335.65
სხვა ხარჯები	139.25	116.03	0.00	116.03	194.87	12.37	182.50
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>3308.89</b>	<b>4740.77</b>	<b>4246.75</b>	<b>494.02</b>	<b>6574.85</b>	<b>5916.25</b>	<b>658.61</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>3187.14</b>	<b>3598.07</b>	<b>3106.58</b>	<b>491.49</b>	<b>9828.87</b>	<b>8941.26</b>	<b>887.61</b>
ზრდა (ა)	3294.56	3611.12	3106.58	504.54	9848.87	8941.26	907.61
კლება (ა)	107.41	13.05	0.00	13.05	20.00	0.00	20.00
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>121.75</b>	<b>1142.70</b>	<b>1140.16</b>	<b>2.54</b>	<b>-3254.02</b>	<b>-3025.02</b>	<b>-229.00</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>115.67</b>	<b>1142.70</b>	<b>1140.16</b>	<b>2.54</b>	<b>-3254.02</b>	<b>-3025.02</b>	<b>-229.00</b>
ზრდა (ფ)	0.00	1142.70	1140.16	2.54	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	0.00	1142.70	1140.16	2.54	0.00	0.00	0.00
კლება (ფ)	-115.67	0.00	0.00	0.00	3254.02	3025.02	229.00
ვალუტა და დეპოზიტები	-115.67	0.00	0.00	0.00	3254.02	3025.02	229.00
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-6.08</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
კლება (ვ)	6.08	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	6.08	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა კრედიტორული დავალიანებები	6.08	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>

**მუხლი 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:**

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	9 962.0	5 715.3	4 246.7	13 080.4	6 478.5	6 601.9
შემოსავლები	9 936.4	5 689.7	4 246.7	13 060.4	6 458.5	6 601.9
არაფინანსური აქტივების კლება	25.6	25.6	0.0	20.0	20.0	0.0



გადასახდელები	8176.99	5700.17	3106.58	16334.39	6707.50	9626.89
ხარჯები	5195.63	5195.63	0.00	6485.53	5799.90	685.63
არაფინანსური აქტივების ზრდა	3611.12	504.54	3106.58	9848.87	907.61	8941.26
ვალდებულებების კლება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ნაშთის ცვლილება	1 155.3	15.1	1 140.2	-3 254.0	-229.0	-3 025.0

### მუხლი 3. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13050.4ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	9936.4	5689.7	4246.7	13 060.4	6 458.5	6 601.9
გადასახადები	594.0	594.0	0.0	6190.5	6190.5	0.0
გრანტები	9144.2	4897.5	4246.7	6759.9	158.0	6601.9
სხვაშემოსავლები	198.2	198.2	0.0	110.0	110.0	0.0

### მუხლი 4. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	594.0	0.0	594.0	6 190.5	0.0	6 190.5
საშემოსავლო გადასახადი	164.5		164.5	0.0		0.0
დღგ				5 840.5		5 840.5
ქონების გადასახადი	429.5	0.0	429.5	350.0	0.0	350.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	375.5		375.5	320.0		320.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.1	0.0	1.1	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0			0.0		



არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1.1		1.1	0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2.8	0.0	2.8	0.0	0.0	0.0
ფიზიკური პირებიდან	0.0			0.0		
იურიდიული პირებიდან	2.8		2.8	0.0		0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	50.2	0.0	50.2	30.0	0.0	30.0
ფიზიკური პირებიდან	0.0			0.0		
იურიდიული პირებიდან	50.2		50.2	30.0		30.0

**მუხლი 5. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6759.9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>გრანტები</b>	<b>9 144.2</b>	<b>4 246.7</b>	<b>4 897.5</b>	<b>6 759.9</b>	<b>6 601.9</b>	<b>158.0</b>
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 144.2	4 246.7	4 897.5	6 759.9	6 601.9	158.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4 897.5	0.0	4 897.5	1 442.3	1 284.3	158.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 592.4		4 592.4	0.0		0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	153.6		153.6	744.5	586.5	158.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	151.5	0.0	151.5	697.9	697.9	
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>4 246.7</b>	<b>4 246.7</b>	<b>0.0</b>	<b>5 317.6</b>	<b>5 317.6</b>	<b>0.0</b>
რეგიონების ფონდის	3 306.0	3 306.0		4 102.6	4 102.6	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	940.8	940.8		595.0	595.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა				620.0	620	



**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 110.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	198.2	0.0	198.2	110.0	0.0	110.0
შემოსავლები საკუთრებიდან	69.6	0.0	69.6	47.0	0.0	47.0
პროცენტები	4.5		4.5	5.0		5.0
რენტა	65.1	0.0	65.1	42.0	0.0	42.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	62.9		62.9	40.0		40.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2.1		2.1	2.0		2.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	31.3	0.0	31.3	23.0	0.0	23.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11.0	0.0	11.0	8.0	0.0	8.0
სანებართვო მოსაკრებელი	1.6		1.6	1.0		1.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0		0.0	2.0		2.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9.5		9.5	5.0		5.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.2	0.0	20.2	15.0	0.0	15.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20.2		20.2	15.0		15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	11.4		11.4	40.0		40.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	86.0		86.0	0.0		0.0

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6485.53 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა



დასახელება	სულ	საბიუჯეტო სახსრები	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი
ხარჯები	5195.63	5195.63	0.00	6485.53	5799.90	685.63
შრომის ანაზღაურება	1375.68	1375.68	0.00	1545.00	1545.00	0.00
საქონელი და მომსახურება	671.58	671.58	0.00	1492.49	819.22	673.27
პროცენტი	52.45	52.45	0.00	60.00	60.00	0.00
სუბსიდიები	2625.93	2625.93	0.00	2857.53	2857.53	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	353.97	353.97	0.00	335.65	335.65	0.00
სხვა ხარჯები	116.03	116.03	0.00	194.87	182.50	12.37

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **9828.9** ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალ. კოდი	დასახელება	2019 წლის გეგმა
<b>00</b>	<b>ჯამური</b>	
00	ჯამური	16334.39
2	<b>ხარჯები</b>	6485.53
2.1	შრომის ანაზღაურება	1545.00
2.2	საქონელი და მომსახურება	1492.49
2.4	პროცენტი	60.00
2.5	სუბსიდიები	2857.53
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	335.65
2.8	სხვა ხარჯები	194.87
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	194.87
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	194.87
2.8.2.2	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	194.87
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9848.87



7	მთლიანი ხარჯები	
00	ჯამური	14036.30
2	<b>ხარჯები</b>	6182.33
2.1	შრომის ანაზღაურება	1545.00
2.2	საქონელი და მომსახურება	1240.24
2.4	პროცენტი	60.00
2.5	სუბსიდიები	2819.33
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	329.20
2.8	სხვა ხარჯები	188.57
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	188.57
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	188.57
2.8.2.2	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	188.57
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	7853.97
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	
00	ჯამური	2349570.79
2	<b>ხარჯები</b>	2314570.79
2.1	შრომის ანაზღაურება	1488600.00
2.2	საქონელი და მომსახურება	595705.00
2.4	პროცენტი	60000.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	6000.00
2.8	სხვა ხარჯები	164265.79
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	164265.79
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	151900.00
2.8.2.2	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	12365.79
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	35000.00
7.1.1	<b>აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები</b>	
00	ჯამური	2251905.00
2	<b>ხარჯები</b>	2216905.00
2.1	შრომის ანაზღაურება	1488600.00
2.2	საქონელი და მომსახურება	595705.00



2.4	პროცენტი	60000.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	6000.00
2.8	სხვა ხარჯები	66600.00
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	66600.00
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	66600.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	35000.00
<b>7.1.1.1</b>	<b>აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	
00	ჯამური	2219400.00
2	<b>ხარჯები</b>	2184400.00
2.1	შრომის ანაზღაურება	1488600.00
2.2	საქონელი და მომსახურება	563200.00
2.4	პროცენტი	60000.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	6000.00
2.8	სხვა ხარჯები	66600.00
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	66600.00
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	66600.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	35000.00
<b>7.1.1.2</b>	<b>ფინანსური და ფისკალური საქმიანობა</b>	
00	ჯამური	32505.00
2	<b>ხარჯები</b>	32505.00
2.2	საქონელი და მომსახურება	32505.00
<b>7.1.6</b>	<b>ვალთან დაკავშირებული ოპერაციები</b>	
00	ჯამური	97665.79
2	<b>ხარჯები</b>	97665.79
2.8	სხვა ხარჯები	97665.79
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	97665.79
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	85300.00
2.8.2.2	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	12365.79
<b>7.2</b>	<b>თავდაცვა</b>	
00	ჯამური	65700.00





2	<b>ხარჯები</b>	65700.00
2.1	შრომის ანაზღაურება	56400.00
2.2	საქონელი და მომსახურება	9300.00
<b>7.2.5</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში</b>	
00	ჯამური	65700.00
2	<b>ხარჯები</b>	65700.00
2.1	შრომის ანაზღაურება	56400.00
2.2	საქონელი და მომსახურება	9300.00
<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	
00	ჯამური	5629649.57
2	<b>ხარჯები</b>	643944.18
2.2	საქონელი და მომსახურება	348744.18
2.5	სუბსიდიები	295200.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4985705.39
<b>7.4.2</b>	<b>სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა</b>	
00	ჯამური	235200.00
2	<b>ხარჯები</b>	235200.00
2.5	სუბსიდიები	235200.00
<b>7.4.2.1</b>	<b>სოფლის მეურნეობა</b>	
00	ჯამური	235200.00
2	<b>ხარჯები</b>	235200.00
2.5	სუბსიდიები	235200.00
<b>7.4.5</b>	<b>ტრანსპორტი</b>	
00	ჯამური	4375149.57
2	<b>ხარჯები</b>	103744.18
2.2	საქონელი და მომსახურება	43744.18
2.5	სუბსიდიები	60000.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4271405.39
<b>7.4.5.1</b>	<b>საავტომობილო ტრანსპორტი და გზები</b>	
00	ჯამური	4375149.57



2	<b>ხარჯები</b>	103744.18
2.2	საქონელი და მომსახურება	43744.18
2.5	სუბსიდიები	60000.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4271405.39
<b>7.4.9</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში</b>	
00	ჯამური	1019300.00
2	<b>ხარჯები</b>	305000.00
2.2	საქონელი და მომსახურება	305000.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	714300.00
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	
00	ჯამური	16.56
2	<b>ხარჯები</b>	12.00
2.2	საქონელი და მომსახურება	12.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.56
<b>7.5.2</b>	<b>ჩამდინარე წყლების მართვა</b>	
00	ჯამური	16.56
2	<b>ხარჯები</b>	12.00
2.2	საქონელი და მომსახურება	12.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.56
<b>7.6</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	
00	ჯამური	3072718.90
2	<b>ხარჯები</b>	605165.00
2.2	საქონელი და მომსახურება	163665.00
2.5	სუბსიდიები	441500.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2467553.90
<b>7.6.2</b>	<b>კომუნალური მეურნეობის განვითარება</b>	
00	ჯამური	281.73
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	281.73
<b>7.6.3</b>	<b>წყალმომარაგება</b>	
00	ჯამური	210.21



2	<b>ხარჯები</b>	109.82
2.2	საქონელი და მომსახურება	109.82
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	100.40
<b>7.6.4</b>	<b>გარე განათება</b>	
00	ჯამური	140.00
2	<b>ხარჯები</b>	140.00
2.2	საქონელი და მომსახურება	140.00
<b>7.6.6</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში</b>	
00	ჯამური	2692986.85
2	<b>ხარჯები</b>	452165.00
2.2	საქონელი და მომსახურება	10665.00
2.5	სუბსიდიები	441500.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2240821.85
<b>7.7</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	
00	ჯამური	89.30
2	<b>ხარჯები</b>	89.30
2.5	სუბსიდიები	89.30
<b>7.7.4</b>	<b>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</b>	
00	ჯამური	89.30
2	<b>ხარჯები</b>	89.30
2.5	სუბსიდიები	89.30
<b>7.8</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	
00	ჯამური	1362.10
2	<b>ხარჯები</b>	1357.23
2.2	საქონელი და მომსახურება	44.90
2.5	სუბსიდიები	1288.53
2.8	სხვა ხარჯები	3.40
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3.40
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3.40
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.87



<b>7.8.1</b>	<b>მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში</b>	
00	ჯამური	373.70
2	<b>ხარჯები</b>	373.70
2.5	სუბსიდიები	373.70
<b>7.8.2</b>	<b>მომსახურება კულტურის სფეროში</b>	
00	ჯამური	959.00
2	<b>ხარჯები</b>	954.13
2.2	საქონელი და მომსახურება	35.90
2.5	სუბსიდიები	914.83
2.8	სხვა ხარჯები	3.40
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3.40
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3.40
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.87
<b>7.8.3</b>	<b>ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა</b>	
00	ჯამური	9.00
2	<b>ხარჯები</b>	9.00
2.2	საქონელი და მომსახურება	9.00
<b>7.8.4</b>	<b>რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა</b>	
00	ჯამური	20.40
2	<b>ხარჯები</b>	20.40
2.5	სუბსიდიები	20.40
<b>7.9</b>	<b>განათლება</b>	
00	ჯამური	713.60
2	<b>ხარჯები</b>	713.60
2.5	სუბსიდიები	713.60
<b>7.9.1</b>	<b>სკოლამდელი აღზრდა</b>	
00	ჯამური	657.60
2	<b>ხარჯები</b>	657.60
2.5	სუბსიდიები	657.60
<b>7.9.8</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში</b>	



00	ჯამური	56.00
2	<b>ხარჯები</b>	56.00
2.5	სუბსიდიები	56.00
<b>7.10</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	
00	ჯამური	356.85
2	<b>ხარჯები</b>	356.85
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	329.65
2.8	სხვა ხარჯები	27.20
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	27.20
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	27.20
<b>7.10.3</b>	<b>მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა</b>	
00	ჯამური	2.50
2	<b>ხარჯები</b>	2.50
2.8	სხვა ხარჯები	2.50
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2.50
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2.50
<b>7.10.4</b>	<b>ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა</b>	
00	ჯამური	253.85
2	<b>ხარჯები</b>	253.85
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	229.65
2.8	სხვა ხარჯები	24.20
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	24.20
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	24.20
<b>7.10.7</b>	<b>სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას</b>	
00	ჯამური	100.00
2	<b>ხარჯები</b>	100.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	100.00
<b>7.10.9</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში</b>	
00	ჯამური	0.50
2	<b>ხარჯები</b>	0.50



2.8	სხვა ხარჯები	0.50
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0.50
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0.50

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -3254.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	მ.შ სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	2019 წლის გეგმა	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
მთლიანი სალდო	1142.70	1140.16	2.54	-3254.02	-3025.02	-229.00

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -0,0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -0,0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 0,0 ათ. ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60,0 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც დაიხარჯა 38.8 ათ. ლარი.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 158.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 89,3ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 65,7 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 3,0ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს



## თავი II

### ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორანოები, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

#### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### 1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით პერიოდულად ხდება სტიქიური და მათ შორის განსაკუთრებით მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონაშალი და მეწყრული მასისაგან, ასევე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება თოვლის საფარისაგან შიდა სასოფლო და სოფლებისა და მუნიციპალიტეტის ცენტრს შორის დამაკავშირებელი გზების გაწმენდა. 2019 წელს განხორციელდება ქ. ცაგერის ასფალტირების სამუშაოები.

#### 1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ასევე იგეგმება წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები.

#### 1.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და სოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

#### 1.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)

გასულ წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სოფლების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა სხვადასხვა დიამეტრის მილები, რომელიც საჭიროა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის.

#### 1.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 05)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. 2019 წელს იგეგმება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმება სხვადასხვა დეკორაციებით, საახალწლოდ ქალაქის ცენტრის ცენტრის მოწყობა და ქალაქის ქუჩების საახალწლო განათების დამონტაჟება,

#### **1.2.4. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 06)**

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

#### **1.2.5 ა(ა)იპ – „კომუნალური მეურნეობა“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 10)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის დასახლებებში კომუნალური მომსახურების (ტერიტორიების დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა) და გარე განათების უზრუნველყოფა ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქ. ცაგერის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქ. ცაგერის ტერიტორიაზე კეთილმოწყობა და გამწვანება. ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ იქნა სპეციალური ნაგავმზიდი და სანაგვე ურნები, მოსახლეობას მოემსახურება ასენიზაციის ავტომატურად.

#### **1.2.6 ა(ა)იპ – "ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 15)**

გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარულ - ჰიგიენურ პირობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა -გადაჭრის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ – ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი"

#### **1.3. მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 07)**

2019 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2019 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის, ცაგერი-ლაილაში- თაბორის, ცაგერი-ღვირიშის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დეხვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შპს „საჭე-ცაგერი“),

#### **1.4. მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 08 )**

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს ხორციელდებოდა და 2019 წელს გაგრძელდება საქარველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (5%),

#### **2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ





განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში 2019 წელს გაგრძელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

## **2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 300 მეტი ბავშვი. ბავშვების აღზრდას ემსახურება 78 პედაგოგი და 78 დამხმარე მოსამსახურე. იგეგმება მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში შიდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება და მათი გამრიცხველიანება. 2019 წელს საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისათვის შექმნილი იქნება ჭურჭელი, ხოლო ბავშვებისათვის -სათამაშოები.ქალაქის ბაღებისათვის შექმნილ იქნება ინვენტარი.

## **2.2 მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (კოდი 04 02)**

მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 20 წრე, (საღმრთო სჯული, მხატვრული კითხვა,დრამატული მხარეთმცოდნეობა, სახალისო მათემატიკა, ზოგადი უნარები, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ქიმია,ქსოვა,ნორჩი მათემატიკა, ფოლკლორი, ცოცხალი სამყარო, ლიტერატურულ-შემოქმედებითი, მუსიკა) რომელშიც ჩაბმულია 200 მოსწავლე.

## **3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

### **3.1სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსური-სასპორტო სკოლის და საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“-ს, ფრენბურთის კლუბის და საჭადრაკო კლუბისდაფინანსება, რათა სპორტსმენებისათვის შეიქმნას შესაბამისისავარჯიშოპირობები და მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სპორტის 8 სახეობაში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში,მკლავჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში.ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი). აღნიშნულ სახეობებში 232 ბავშვს ავარჯიშებს 16 მწვრთნელი.

#### **3.1.1 ა(ა)იპ – ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსური-სასპორტო სკოლის დაფინანსება 2019 წელს სპორტისსახეობებში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში,მკლავჭიდაობაში, ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი,ფრენბურთი). აღნიშნულ სახეობებში232 ბავშვს ავარჯიშებს 16 მწვრთნელი.

#### **3.1.2. ა(ა)იპ – საფეხბურთო კლუბი ხვამლი (პროგრამული კოდი 05 01 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის საფეხბურთო კლუბი ხვამლის დაფინანსება რათა სპორტსმენებისათვის შეიქმნას შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

#### **3.1.3 ა(ა)იპ – ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ (პროგრამული კოდი 05 01 03)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრენბურთის კლუბი ცაგერის დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ფრენბურთისა და საპლიაჯო ფრენბურთის პოპულარიზაციას.



### 3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ლადოობის სახალხო ზეიმი ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### 3.2.1 ცაგერის კულტურის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ცაგერის კულტურის ცენტრის ფინანსურ მხარდაჭერას, სადაც გაერთიანებულია

- გრ. მდივნის სახელობის ცაგერის სახალხო თეატრი;
- საბავშვო მუსიკალური თეატრი (20 წევრი);
- ფოლკლორული ანსამბლი „სალაღობო“ (14 წევრი);
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლი“ (20 წევრი);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალაღობო“(14 წევრი);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“(30 წევრი);
- ქალთა ანსამბლი „საპოვნელა“ (8 წევრი);
- საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდია (25 წევრი);
- კამერული გუნდი (25 წევრი);
- კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“;
- სასოფლო კლუბები.

#### 3.2.2 მუზეუმისა და გალერეის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 05 02 02)

